№2222 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N 999 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N 999 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დეპარტამენტმა 2013-2014 წლებში უზრუნველყოს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი–ფოთი (ასაქცევი) - სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ117–კმ119 მონაკვეთზე ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.";

ბ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

,,5. დეპარტამენტმა ამ განკარგულებით გათვალისწინებული 2014 წელს განსახორციელებელი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს 2014 წელს შესაბამისი წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.”.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**